პროექტის ფაქტები

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

LEADER მიდგომის დანერგვა მესტიის მუნიციპალიტეტში - ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობისთვის

განხორციელების ვადა: 01.12.2018 - 31.12.2022

EaP ქვეყნები:
Georgia

ევროკავშირის წვლილი: € 1 992 355

განმახორციელებელი ორგანიზაცია (ებ):
Care International

სოციალური მედიის ანგარიშის ბმულები:
facebook.com/LAGMestia/

პროექტის ვებსაიტები: care-caucasus.org.ge/

პროექტის აღწერა:

პროექტი წარმოადგენს სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის, ENPARD-ის ნაწილს და უზრუნველყოფს ადგილობრივი მოსახლეობის, განსაკუთრებით დაუცველი ჯგუფების ჩართვას და მათ მონაწილეობას ადგილობრივი განვითარების სტრატეგიაში. იგი ამკვიდრებს ადგილობრივ სამოქალაქო ჩართულობას ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფის შექმნითა და გაძლიერებით. იგი ეხმარება ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის განხორციელების პროცესს. ეს კომპონენტები ევროპული LEADER მიდგომის გამოყენებით ხორციელდება.

მოსალოდნელი შედეგები:

- ჩამოყალიბდება მესტიის ადგილობრივი განვითარების ჯგუფი (LAG), რომელიც მოქმედი და საჯარო-კერძო სექტორის თანამშრომლიბის წარმომადგენლობითი ორგანოა, და ემსახურება ადგილობრივი ეკონომიკის გაუმჯობესებას, და მოწყვლადი ჯგუფების ჩართულობას სოფლის განვითარების პროცესში.
- ადგილობრივი დაინტერესებული მხარეები შექმნიან და განახორციელებენ გენდერულად მგრძნობიარე ადგილობრივი განვითარების სტრატეგიას, რომელიც მოსახლეობის ყველა ჯგუფის საჭიროებებს და პოტენციალს ასახავს.
- შემუშავდება ინოვაციური ეკონომიკური და სოციალური ინიციატივების დაფინანსების სქემა, რომელიც ხელს შეუწყობს სოფლის განვითარებას, ადგილობრივი განვითარების სტრატეგიით განსაზღვრული პრიორიტეტების შესაბამისად.
- მესტიის ადგილობრივი განვითარების ჯგუფი გახდება სოფლის განვითარების სხვადასხვა ქსელებისა და პარტნიორობების ნაწილი და ხელს შეუწყობს LEADER მიდგომის მდგრადობის შენარჩუნებას საქართველოში.